# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა 27-ს მარტს

---

შაბათს, 26 მარტს,

ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო

ი. ი. რატიშვილის ლოტბარობით

გამართავს

## კონცერტს

განყოფ. I. ახალი ქართული სიმღერები, რომელთა-შორის იქმნება ქართული ხალხური დუეტი, ტრიო და „შევკრათ წითელ-წითელი“.

განყოფ. II. ახალი ევროპიული სიმღერები ზოგიერთ გამოჩენილ კომპოზიტორთა.

განყოფ. III. ხუდოჟნიკის ა. გ. დე-პობოვის მიერ დადგმულ იქმნება თ. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდგან“ ცოცხალი სურათები: ა) მეფე ფარნაოზ; ბ) მირიან; გ) ვახტანგ გორგასლანი; დ) დავით აღმაშენებელი; ე) თამარ-დედოფალი, რომელსაც თან ახლავან რუსთაველი, ორბელი, მხარგრძელი და გამრეკელი; ვ) ვახტანგ სჯულთ-მდებელი და სხვ.

ცოცხალსურათების დროს იქმნება ხოროს სიმღერები. ამავე დროს ორკესტრი დაუკრავს ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილ ახალ ქართულ პოპურის.

ადგილების ფასები, როგორც ქართულ წარმოდგენებზე, ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე

---

შაბათს, 26 მარტს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, იქნება კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა.

განსახილველნი საგანნი:

1) მიმდინარე საქმეები;

2) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრისა, ბ-ნ ენფიანჯიანცისა, «თამბაქოს მოყვანა».

კრებაზედ შეუძლიანთ დაესწრნენ არა-წევრთაცა.

---

ტფილისი, 24 მარტი

ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს ევროპიულს მწერლობას და თუ იცნობს მცირედს ნაწილს, ისიც არა თვით იმ მწერლობის წყაროდგან. ჩვენს მწერლობაში აქა-იქ იპოვით თარგმანებსა საუკეთესო ევროპიელ მწერალთა, მაგრამ არ შეიძლება ვსთქვათ, ვითომ ეს თარგმანები ნამდვილად ჰხატავდნენ როგორც თვით მწერლებს, ისე საზოგადოდ მთელს მწერლობას, რადგანაც ჩვენს მწერლებს უმეტეს ნაწილად თარგმანი თარგმნებიდამ გადმოჰქონდათ და ამიტომაც დედანს აკარგვინებდნენ მიმზიდველს ძალას, სიღრმეს აზრისას და სიცხოველეს და სიმართლეს სურათებისას. მაშასადამე, ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ერთს საუკეთესო სახსარს გონების და ზნეობის ამაღლებისას, იმიტომ-რომ ჩვენმა მწერლებმა ძალიან ნაკლებად და იშვიათად იციან უცხო ენები. მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენს მწერლებს, რომლისამე, ხშირად შეუწყნარებელის, მიზეზის გამო, არ შეუსწავლიათ უცხო მდიდარი, შემუშავებული ენა, ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო დასწაფებოდა მდიდარს უცხო მწერლობასა. ამას თავის ნაყოფიც უკვე გამოუსხავს და დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, თუ გინდათ დარწმუნდეთ, რომ ჩვენ ნაკლებად ვიცით უცხო ქვეყნების ვითარება, ცხოვრების მიმდინარეობა და, მაშასადამე, ჩვენის საკუთარ ცხოვრების შესახებაც ცალ-მხრივი აზრი და შეხედულობა გვაქვს. ვიმეორებთ, დიდი ნაკლებულობაა, როდესაც ადამიანი სხვის აზრს, გრძნობას, ცხოვრებას თვალ-ყურს არ ადევნებს, რაც საჭიროა და შესაფერებელია, არ ითვისებს და თავისას არ უზიარებს.

სხვათა შორის რა არის საგულისხმო და პატივ-საცემი ევროპიელ ერთა ცხოვრებაში? ისა, რომ განათლებული და დაწინაურებული ნაწილი ერისა სცდილობს მწერლობისა და მეცნიერების საშუალებით სხვებს ხელი გაუწვდინოს და წუთი-სოფლის სუფრაზე ძმურად დამშვიდობიანად იცხოვროს სხვებთან. საუკეთესო ნაწილს კაცობრიობისას შეგნებული აქვს, რომ კეთილი აზრი, გონება საიმედო და მკვიდრი ხიდია ერთა შორის და ამიტომაც ევროპიელნი დიდის გულ-მოდგინებით სწავლობენ ერთმანერთის გონების ნაწარმოებს, ენასა და ცხოვრებას. რაც მეტად ძლიერდება ეგ შესწავლა, მით უფრო მტკიცდება ძმობა და ერთობა ერთა შორის.

ჩვენც უნდა ვათხოვოთ ყურადღება ამას, თუ გვინდა, რომ დაწინაურებულს კაცობრიობას მივსდიოთ და ჩვენი საკუთარი აზრი ვასაზრდოვოთ და გავაძლიეროთ. თუ იმის სურვილი გვაქვს, რომ ევროპიული მწერლობა და მეცნიერება შევისწავლოთ, რომლისამე დაწინაურებულის ერის ცხოვრება გავიცნოთ, უსათუოდ უცხო ენები უნდა შევითვისოთ და ამ ენების საშუალებით მკითხველს საზოგადოებას კარგი და მარგებელი გონებითი საზრდო მივაწოდოთ. რასაკვირველია, ამას ბევრნი ჰგრძნობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყურადღებას არ ათხოვებენ და წყურვილს და საჭიროებას საზოგადოებისას დაუკმაყოფილებლად სტოვებენ.

როგორც ვსთქვით, ჯერ-ჯერობით უცხო მწერლობის წყაროს ვერ დავწაფებივართ, რადგანაც უცხო ენების შესწავლას არ მივსდევთ. მხოლოდ ამ რამდენისამე წლის განმავალობაში ზოგიერთნი დაეწაფნენ უცხო მწერლობას იმ აზრით, რომ იგი გადმონერგონ ჩვენს ნიადაგზე. ამ ზოგიერთთ შესწავლული აქვსთ უცხო ენები და რიგიანად სარგებლობენ ამ ცოდნით. ბ-ნი მაჩაბელი შეუდგა უდიდესის პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას პირდაპირ ინგლისურის ენიდგან და წელს დაჰბეჭდა «ჰამლეტი» და «ოტელო» შექსპირისა. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ორს თარგმანს სხვაც მოჰყვება. შექსპირი შვენებაა მთელის კაცობრიობისა და ყველა მწერლობისა და, მაშასადამე, იმის ნაწარმოებთა რიგიანად გადმოთარგმნა აუცილებელი მოვალეობაა თვითოეულის მწერლობისა. მაჩაბლის შრომა პირველი ნაბიჯია სისტემატიურის და შეუწყვეტელის თარგმანებისა და, უნდა ვსთქვათ, სწორე ნაბიჯიცა, რადგანაც თარგმანი კარგის ენით არის შესრულებული.

ვერავინ იტყვის, ვითომ ამ გვარი შრომა უდროვო იყოს ჩვენთვის, ვითომ ჩვენ მაგისთანა შრომისათვის არ გვეცალოს, ვითომ ეს ნათარგმნები არ გავრცელდებოდეს საზოგადოებაში. პირ-იქით, ყველამ კარგად ვიცით, რომ ყოველი კლასიკური, დიდებული ქმნილება საამო საკითხავია მდაბიო მკითხველისათვის და რომ ამ გვარს საკითხავს მკითხველი ძალიან ეტანება.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** დღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ იონა მეუნარგიასი. პატივცემული ბიოგრაფი თ. გრ. ორბელიანისა გვაუწყებს, რომ ლექციებს ზემოხსენებულს სახელმწიფო კაცზე და საქართველოს პოეტზე ეღარ წაიკითხავს, თუმცა დიდი სურვილი მქონდაო. ბ-ნს მეუნარგიას განზრახვა

---

# ფელეტონი

## უცნაური მუხუდო

მოთხრობა

X*)

შევიდა სოფო სახლში და ისე [illegible]ონოდ და უარაქათოდ დაეშო[illegible], თითქო ერთის კვირის მძიმე [illegible]შაობით დაღალულ-დაქანცულაო. [illegible] რამდენიმე ხანი უმოძრაოდ, გა[illegible]ნდებული იჯდა. უცებ გაახსენდა, რომ ჯიბეში სანდროს ცხვირსახოცი უძევს, მარდად ჩაიყო ხელი და ამოიღო ჯიბიდგან. დიდხანს უცქირა თეთრს ცხვირსახოცს: ხან აქეთ გადმოატრიალა, ხან იქით გადაატრიალა; მოწიწებით დაუსინჯა ყველა კუთხეები, ამოხვეული პირები, [illegible]შემორტყმული თეთრი ზოლები და სხვა... ერთსა და იმავე ადგილს, [illegible]თსა და იმავე მხარეს ხუთჯერ გადათვალიერებდა, გადასინჯავდა, თითქო სცდილობდა იმ პაწაწინა და თვალისათვის ძნელად შესამჩნევის [illegible]კერებიდგან, რომლებიც ათას ნაირად დახლართულ ძაფებში არიან მომწყვდეულნი, რაიმე აღმოეჩინა, ამოეკითხა.

ამ დროს სოფოს თვალში ისეთმა [illegible]ბული საგანმა, როგორც იყო ცხვირსახოცი, თითქო ოდნავ სულიერის არსების თვისებანი მიიღო: აი, ცხვირსახოცი თითქო თვითონ, თავის თავად მოძრაობს, თითქო თვალებიცა აქვს და სოფოს შიგ სახეში შესცქერის, თითქო იმის მოქმედებაზედ ღიმილიც მოსდის. ამ ყოფაში რომ არის, სოფო ცხვირსახოცს ერთბაშად მეორე ხელსაც დაადებს ზემოდამ, რომ ამით უკანასკნელის შეუპოვარი ცქერა-ღიმილი თავიდამ აიცდინოს.

მოჩვენება მალე გაივლის. სოფო ამ ცხვირსახოცს დაჰკუმშავს მარჯვენა ხელში და განუსაზღვრელის სიამოვნებით წყნარად მიიდებს ხან მარჯვენა ლოყაზედ, ხან მარცხენაზედ; მიიტანს ხან ყელთან და ხან ისე ჩაიკრავს გულში, ისე საყვარლად ჩაიხუტავს, როგორც ახალგაზდა მოსიყვარულე დედა თავის პირველა შვილს, როდესაც ეს უკანასკნელი უმანკო, გემრიელის ტიტინით, ანგელოზებრივის ღიმილით და ბოცო-ბოცო, ფაფუკის მკლავების მოძრაობით მშობელს ალერსს, სიყვარულს უცხადებს ხოლმე.

— რა მშურს—გაეძრახა სოფო დიდის სინანულის ოხვრით ცხვირსახოცს,—რომ მეც შენსავით ცხვირსახოცი არა ვარ! სანდრო მეც ხომ შენსავით თან მატარებდა; მეც ხომ ყოველთვის იმის ახლო ვიქნებოდი და ასეთი უიმედო და უთავ-ბოლო წანწალი აღარ დამჭირდებოდა იმის დასანახავად და ხმის გასაცემად! მეც ხომ შენსავით სახეზედ დამიფარებდა ძილის დროს და თავის სუნთქვით გამათბობდა!..

რა მოიკლა სოფომ ჟინი ცხვირსახოცის ალერსით, ახლა შეუდგა იმის ზრუნვას, თუ რა უნდა ექნა ცხვირსახოცისათვის, ან რისთვის უნდა გამოეყენებინა. არჩია საქმე და ბოლოს ასე დაასკვნა: «მოდი ამ ცხვირსახოცს ერთს კუთხეზედ წითელის ძაფით სანდროს სახელის ა და გვარის პირველ ასოებს ამოვკერავ და შემდეგ ისევ დავუბრუნებ პატრონს, რომ სრულიად ვერ გაიგოს, თუ მოპარვა ამისი და ნიშნების დასმა ჩემი უნარიაო». გადასწყვიტა ესა და მაშინვე უბძანა მოახლეს, მისთვის ნემსი და ძაფი მოერთმია. სულ არ გასულა ნახევარი საათი, რომ სოფომ ცხვირსახოცზედ ორი კოხტა და ლაზათიანი ასო გამოჰკიმა. ეს ასოები გახლდათ: ‹ა. ა.› (ალექსანდრე ა—შვილი).

— აბა, თებრო,—გათავების უმალვე მიჰმართა სოფომ მოახლეს— ეხლა შენ იცი, როგორც ამ ცხვირსახოცს აარბენინებ ზევით და როგორმე სანდროს ოთახში შეიტან. ეცადე-კი, რომ არ შეგიტყოს; კარი ფრთხილად შეაღე და სახეზედ არ გადააფარო, ისე, თავით ან ფეხთით დაუგდე, თორემ შეიძლება გაიღვიძოს.

— ბატონი ბძანდები, ქალბატონო, ეხლავ აურბენინებ და ვეცდები, არ გავაგებინო! უპასუხა მოსამსახურემ და ჩამოართვა კიდეც ცხვირსახოცი.

თებრო რამდენისამე წამის შემდეგ დაბრუნდა.

—მოახერხე თუ არა? ოთახში შემოსვლისათანავე მიაძახა სოფომ.

— ძლიერ კარგად: შევაღე კარები, მძიმე-მძიმედ მივიპარე ტახტთან და სწორედ ყურთან დავუდე; ვერაფერიც ვერ გაიგო; მხოლოდ როდესაც კარი გამოვიხურე, შევნიშნე, რომ ძალაზედ გაიზმორა, იქით კედლისკენ გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი.

— ბარაქალა, ჩემო თებრო! სიკეთეს უეჭველად გადაგიხდი; დღეიდგან შენი მოვალე ვიქნები! დააიმედა სოფომ.

— რა ბძანებაა, შენ გენაცვალე, რა დიდი საქმე მე გაგიკეთე, რომ ფასადა ღირდეს? ყალბის მორჩილებით უპასუხა გოგომ, რომელსაც დაპირებამ მაინც-და-მაინც საკმაოდ აამა.

ამასობაში კარგა ხანმა გაიარა; მეექვსე საათიც მოახლოვდა. ჯერ საათ ნახევარსაც არ გაევლო სოფოს მოსვლის შემდეგ, მაგრამ ეს მოკლე ხანი გაუგრძელდა. ბოლოსა და ბოლოს ვეღარ გაუძლო ლოდინს, მოთმინების ფიალა აევსო და რომ ვეღარა გააწყო-რა, ადგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. უფრო ხშირადკი იმ სარკმელთან დაიწყო ტრიალი, საიდამაც ოდესმე სანდროს ხშირად ჰხედავდა სარკმელთანვე მდგომარეს; ჰფიქრობდა—იქმნება გაიღვიძოს თუ არა, მოვიდეს და იქიდამ გამოიხედოსო.

იმედმა არ უმტყუნა: სულ რამდენისამე წამის შემდეგ იმ სარკმელთან უცებ გამოჩნდა სანდრო, რომელსაც ჯერ პირი არც-კი დაებანა თურმე, თმა ისევ დაუვარცხნელი, აწეწილი ჰქონდა. რა სოფომ თვალი მოჰკრა სანდროს, გადაეშალა სიხარულის კოკორი და იმისმა გულმა სიამოვნების საყნოსველი იგრძნო.

სოფოს დანახვაზედ სანდროს, ჩვეულებისამებრ, შერცხვა; შესწუხდა უფრო იმიტომ, რომ იგი პირ-დაუბანელი, თავ-აწეწილი დაენახვა სოფოს; ის სრულიად ალალ-ბედზედ მიუახლოვდა სარკმელს, სრულიად არ უფიქრნია იმაზედ, თუ რა სანახავი შეიძლება გამოჩნდეს პირდაპირ სარკმლიდგან და ამიტომაც სოფოს ასეთმა მოულოდნელმა დანახვამ სანდრო მეტად შეაკრთო; სალამიც არ მიუცია, იმ წამსვე მოშორდა სარკმელს და კედელს მოეფარა.

მაგრამ თვალის დახამხამების უმალ სანდრო მეორედ გამოჩნდა სარკმელთან, მხოლოდ ეხლა სრულიად სხვა გვარად გარდაცვლილიყო: სასწავლე

*) იხ. „ივერია“ №№ 51, 52, 55, 56, 57 და 63.

აქვს თავისი ხელ-ნაწერი ცალკე წიგნად დაბეჭდოს, რომ ამ სახით მაინც აცოდინოს ქართველ საზოგადოებას გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის შინაარსი.

*** შაბათს, **26** მარტს, საღამოს 7½ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. ამ კრებაზე ბ-ნი ენფიანჯიანცი წაიკითხავს მოხსენებას თამბაქოს მოყვანის თაობაზე ჩვენში.

*** ხვალ საღამოს, როგორც ჩვენს გაზეთშიაც არის გამოცხადებული, დანიშნულია კონცერტი ბ-ნ აღნიაშვილის ქართულის ხოროსი. როგორც პროგრამაზე ეტყობა, ეს კონცერტი ფრიად საინტერესო უნდა იყოს და ამიტომ, იმედია, საზოგადოება დიდი დაესწრობა.

*** ბ-ნს პეტრე ყიფიანს გადაუთარგმნია ფრანგულ ენიდგან ლანდრეს თხზულება: „ღვინის კეთების ხელობა". ეს წიგნი ჯერ ნაწილ-ნაწილად გაზეთ «მეურნეში» დაიბეჭდება და შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცემა.

*** ხონი: **20** მარტს აქ დიდი უბედურება დატრიალდა. ცეცხლი გაჩნდა და მუსრი გაავლო აქაურობას. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით არავინ იცის. ამ ამბავმა აქ დიდი ალიაქოთი გამოიწვია, დუქნებიდგან და სახლებიდგან სულ გამოალაგეს მკვიდრთა თავიანთი ნივთები. მთელი დაბა გადაიწოდა, აღმოსავლეთის ქარი რომ მალე არ ჩავარდნილიყო. ცეცხლმა **21**-მდე გლეხის ავლა-დიდება და სარჩო-საბადებელი, რაც-კი სულს აქეთ მოეპოვებოდათ, ერთიანად იმსხვერპლა. ამბობენ, ზარალი **60,000** მანათამდე იქნებაო.

*** ქუთაისი: ორი-სამი თვე იქნება, რაც აქ აქაურმა განათლებულმა რუსებმა დააარსეს საზოგადოება, რომელსაც ეწოდება: **Кружокъ любителей драматическаго и музыкальнаго искуства.** ამ საზოგადოებას აზრადა აქვს ჰმართოს ქუთაისში რუსული წარმოდგენები და კონცერტები და ჰმართავს კიდეც ორ კვირაში ერთხელ ესრედ-წოდებულს „სამეფო სახლში" ან რუსულს წარმოდგენასა და ან კიდევ კონცერტს. ამ ჟამად აქ იმყოფებიან ტფილისის ოპერის არტისტები და ბ-ნი ყორღანაშვილი.

*** იქიდამვე: **20** მარტს ღამე «სამეფო სახლს» ცეცხლი წაეკიდა. ამ «სამეფო სახლის» თაობაზე ქალაქსა და თავად-აზნაურობას შუა გაუთავებელი დავა იყო. ახლა ამ დავაში ცეცხლი ჩაერია და, იმედია, ეს სტიქიონი მაინც მოარიგებს მოურიგებელს მოდავეთა.

*** სოფელი ხაშმი (გარე კახეთი): ჩვენში საზიზღარი ავ-კაცობა შემოვიდა. შურით და მტრობით გლეხები უწვავენ ერთმანეთს საბძლებს და უკაფავენ ვაზებს ვენახებში. უკანასკნელს ოთხს თვეში დასწვეს ორი საბძელი გლეხთა ხაბაზიშვილისა და ყირმლაშვილისა. ერთს ოცდა-ხუთ თუმნამდე ზარალი მოუვიდა და მეორეს ოც თუმნამდე. ბოროტმოქმედნი ჯერაც არ აღმოუჩენიათ.

*** იქიდამვე: სამაზრო ადმინისტრაციის წყალობით სოფელს ხაშმს ერთი დიდი სიკეთე მოუვიდა წელს. ეს სიკეთე ის არის, რომ ზედ შუა სოფელში გზა-ტკეცილი იქმნა გაყვანილი. ამ გზის წყალობით ახლა-კი ავცდებით იმ საშინელს ლაფებს, რომელსაც თუ არ ურმით, სხვაფრივ ვერ გადავლახავდით ხოლმე. ამასთანავე არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ისიც, რომ სართიჭალის ბოქაულის თაოსნობით აპირობენ გზატკეცილი გაიყვანონ სართიჭალიდამა და შეუერთონ ეს სოფელი პატარძეულს, გიორგი-წმინდას, საგარეჯოს, თოხლიაურს და მანავს. თუ ეს მართალი გამოდგა, ერთი ხიდი-ღა დაგვჭირდება მაშინ იორზე და მოვრჩებით კიდეც გარე-კახელები სიარულს აზამბურზე და უდაბურს მინდორზე, საცა მგზავრობა ფრიად მოუხერხებელია ჩვენთვის, რადგან ეს გზა შორსაც უვლის და საშიშიც არის სხვა-და-სხვა ავაზაკთაგან.

*** თელავი: ძლივს ეღირსა თელავს რიყეზედ ხიდის გაკეთება. გააკეთეს-კი, მაგრამ ეხლა ისევ ჩამტვრეულია. ადგილ-ადგილას კანკალით ატარებენ ურმებსა და ეტლებსა. ღამით ბევრს უვარდება ხოლმე ფეხი შიგა და საქონელიც ბევრი სახიჩრდება. კარგა იქმნებოდა, რომ ამ ხიდისათვის მიექციათ ყურადღება თელავის მეუფროსოებს და, რახან აკეთებენ, რიგიანად გაეკეთებინათ. ამ ჟამად თელავში მშვენიერი და საამური დარებია. მხოლოდ დილით ცოტა სუსხი აქვს ხოლმე ჯერ ისევ ჰაერსა.

*** ჯავახეთი: სოფელს კოთელიის მცხოვრებლების «პოვერენიები», აბო ბიბილურიძე, ბარნაბა ბერიძე და ანდრო კონსტანტინოვი, ამ ჟამად ჩამოსულან ქ. ტფილისში სოფლის მიწების თაობაზედ, წამოუღიათ რამდენიმე მანეთი, დადიან ქალაქის ქუჩებში და არ იციან-კი, საქმე როგორ აწარმოონ. ვინც-კი შეხვდებათ, ყველას იმას ეკითხებიან: ესა-და-ეს სამმართველო სად არისო? კოთელიელებს-კი ჰგონიათ, რომ ხალხი გვყავს გაგზავნილი ტფილისში მამულების სადავოდ და გვიშველიან რასმესაო, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ასეთმა ამორჩეულებმა გაარიგონ რამე.

*** თვით ჯავახეთიდამა გვწერენ, რომ აქეთ ჯერ თოვლი არ აუღიაო, პურის უქონლობის გამო დიდს განსაცდელში არიან ჯავახელები და ზოგიერთი სოფელი ხომ უფრო მეტად გაჭირვებულია შიმშილობისაგანაო.

*** სოფ. ამტნის-ხევი (თიანეთის მაზრა): ერთ კვირაზედ მეტი იქნება, რაც აქ, ერწოს-ხეობაში, გუთნები გაიტანეს მინდვრებში და გლეხები სთესავენ ახალ თესლეულობას. დარები ფრიად კარგი დგას აქ ამ ჟამად. ხალხი, რასაკვირველია, ამ კარგს დარებს ეშურება და, თუმცა დიდ-მარხვაა, ზოგიერთს სოფლებში ზიარებისათვის არავინ არა ჰფიქრობს მზადებას. საცა მივიდა დიაკვანი და გამოუცხადა — ამა-და-ამ სახლში ლოცვა იქნება და მოემზადეთ საზიარებლადაო, არც ერთი ხევსური არ მივიდა ლოცვაზედ. ხევსურები ასე ეუბნებიან თურმე დიაკვანს: «წეედ, წეედ, დიაკვანო, რა ზიარებისა გვცხელა, ვერ გიხედავს ეგ თვალები, გუთნები გვიბიაო».

*** სოფ. ბალების-ხევი (ამტნისხევისავე სამრევლოა): როგორც წინადაც იყო მოხსენებული, ამ სოფელში მდიდარი რუსები ორთქლის წისქვილებს ჰმართავენ. მაშინები ბაქოდგან უნდა მოიტანონ. ეს მაშინები ამ მარტის **17—18** რიცხვებში უკვე მოიტანეს და შეუდგნენ წისქვილების დამართვას. იმედია, ეს წისქვილები დიდს სარგებლობას მოუტანს ერწოსხეობას, მით უმეტეს, რომ შემოდგომით აქ ძალიან გაჭირებაში არიან უწისქვილობის გამო. თუმცა არის იორის პირებზედ წისქვილები, მაგრამ ამოდენა ხალხს ეს პატარა წისქვილები სრულებით არა ჰყოფნის.

*** ერწოს-ხეობა: ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყველა გლეხებმა მიჰყვეს ხელი ჩარჩობას ერთმანეთის ბაძით და ჰყიდიან სხვა-და-სხვა საწვრილმანოს. ხევსურები ატარებენ ზურგით იქნება, თუ ცხენით: ნავთს, თევზეულობას (დამპალს), ლილას და სხვა ამ გვარს რამეებს და ისე გავარჯიშებულან ჩარჩობა-დალალობაში, რომ ორ კაპეიკისას ვერავინ ვერას გამოაპარებს.

<>

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ჩემგან განზრახულ ლექციებს თ. გრ. ორბელიანზე ვერ წავიკითხავ, რადგანაც დაბრკოლება მომეცა.

ი. მეუნარგია

<>

## ბ-ნი დიმიტრი ბაქრაძე სტამბოლში.

ტფილისის სომხურ გაზეთ «მშაკის» მე-31 №-ში სტამბოლიდამ არის მოწერილი კორრესპონდენცია მარტის 8-ს, რომელშიაც ბ-ნს ბაქრაძეზე შემდეგი ცნობებია. ეს ცნობები სრულად მოგვყავს:

«ჩვენს აწმყო მდგომარეობაში არ დავივიწყებთ პატივცემულს სწავლულს, რო-

---

ბლის ფორმის ტანისამოსში გამოკანკლულიყო და ქოჩორიც ფაქიზად ჰქონდა გადავარცხნილი. მოვიდა თუ არა სარკმელთან, თავდაპირველად, სალამის ნიშნად, სოფოს თავაზიანად მოუხარა თავი და სოფოსაგან ამისთვის ასეთივე პასუხი მიიღო.

საკვირველი იყო ამათი ერთმანერთისათვის პირველი შეხედვა: ჯერ ისე თამამად, გაბედვით გაუყარეს თვალი-თვალს, ისე გატაცებით, გაშმაგებით შეაჩერდნენ ერთმანერთს, როგორადაც ბრძოლაში გამოსული ორი მოსისხლე მტერი, რომელთაც ერთ წამს ერთმანერთის შთანთქვა, განადგურება სწყურიანთ, ხოლო მალე-კი თითქმის ორივემ ერთად წყნარად, მორცხვობით ძირს დაუშვეს თვალები.

ერთმა წამმაც არ გაიარა, რომ სოფომ და სანდრომ ისევ შეხედეს ერთმანერთს; ხოლო ეხლანდელი შეხედვა უფრო თამამი, უფრო მოურიდებელი იყო. მცირედის გალიმების შემდეგ სოფომ სანდროს ხელებით ანიშნა — ძირს ჩავიდეთ და იქ შეხვედრებით სალაპარაკოდაო. სანდრო, რასაკვირველია, მალე დასთანხმდა.

ორივემ მალე ძირს, ეზოში ამოჰყვეს თავი. მოკრძალებით გაუწოდეს ხელი ხელს და თან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს: ხომ არავინ გვიცქერისო. ჯერ თითქმის ხმაც არ ამოეღოთ, რომ შეუმჩნეველად ორნივე დაროს სადგომის კიბისაკენ, ე. ი. იმ კიბისაკენ, რომელზედაც ამ წუთს სანდრომ ჩამოირბინა, გაემართნენ. ამ გრძელს, ვიწრო და ბნელს კიბეზედ უფრო მოსალოდნელი არ იყო უცხო კაცის თვალი და ამიტომ აქ ამჯობინეს სალაპარაკოდ გაჩერება.

— ღმერთმა გიშველოთ, კარგად გცოდნიათ პატიოსანის სიტყვის ასრულება! უსაყვედურა სოფომ სანდროს.

— გარწმუნებთ, მიზეზი მქონდა! მიუგო სანდრომ, რომელმაც არ იცოდა, რა მიზეზი გამოეგონა.

— რასაკვირველია, თუ-კი კაცი მოინდომებს, ბევრს რასმე დაასახელებს მიზეზად.

— არა, მე ნამდვილს მიზეზს გეტყვით.

— ყველა ნამდვილი იქმნება, რა-კი გინდათ, რომ ნამდვილი იყოს.

— მაშ, როგორც გატყობთ, ძალიან გწყენიათ ჩემი ალექსანდრეს ბაღში გამოუსვლელობა? იკითხა სანდრომ.

— არ მეწყინებოდა, რომ მე თვითონ არ გავსულიყავ. წარმოიდგინეთ, მთელი სამი საათი მომიხდა ფეხზედ დგომა თქვენს ლოდინში, ხან ეკკლესიაში, ხან გარედ; დამწყდა თვალები ცქერისაგან; გული გადამელია ლოდინით; აღარ ვიცოდი, რა მექმნა. არ ვიცი, რა უნდა იყოს ლოდინზედ უმძიმესი სატანჯველი? ვერ წარმოიდგენთ, რა წვალება, რა შინაგანი მღელვარება და ვაი-ვაგლახი გამოვიარე იმ ორიოდე საათის განმავალობაში! საშინელს მდგომარეობაში ჩავარდი, როდესაც დავრწმუნდი, რომ თქვენ აღარ მოხვიდოდით.

სანდრო გულ-მოდგინედ უგდებდა ყურს სოფოს თვითოეულს სიტყვას; იმ ჟამად დაჭეშმარიტებით სჯეროდა, რომ სოფო ყოველსავე გულ-წრფელად ამბობდა და ამიტომ მაშინდელის თავისის საქციელისა დილანდელზედ ეხლა უფრო გაცილებით რცხვენოდა და გული ეთუთქებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვა — დაიწყო სანდრომ ისეთის მიხრწნეულის ხმით, როგორც რაიმე დანაშაულში დაჭერილი პატარა მოწაფე თავის მასწავლებლის წინაშე, — რომ ხელი ისეთმა მიზეზმა შემიშ...

— ეჰ, დაანებეთ თავი მაგ მიზეზიანობას. — გააწყვეტინა სიტყვა სოფომ: — ტყუილად ნუ გამოიგდებთ მიზეზს; მე ძლიერ კარგად ვიცი ამის მიზეზი.

— აბა რა იცით? ცნობის-მოყვარეობით იკითხა სანდრომ.

— ისა, რომ თქვენ ერთობ მორცხვი ხართ.

— სრულიადაც არა.

— მაშ თუ ეს არა, მიზეზი ერთი რამ უნდა იყოს, რომელიც დილასაც მომივიდა თავში.

სოფოს სახემ უეცრივ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო ეშინოდა, ეს-ეს არის ჩემი ეჭვი გამართლდება და იმედის ძაფი საუკუნოდ გამიწყდებაო.

— ბარემ დაასახელეთ, ისა სჯობია.

— დასახელებაც მემძიმება.

— ვინ იცის, ეჭვი რამ შემოიტანეთ ჩემზე; სთქვით და იქმნება გაცრუვდეს.

— ეგ თქვენზედა ჰკიდია. ვიტყვი: ალბად სრულიად არა გაქვთ თქვენ ჩემი სიყვარული, რომ დანიშნულს ადგილას დილას არ მოხვედით ჩემ სანახავად.

— ეგა გგონიათ მხოლოდ ჩემის სიტყვის გარდასვლის მიზეზად?

— მხოლოდ ესა მგონია.

— ჰა, ჰა, ჰა! თითქო ძალ-დატანებით ჩაიცინა სანდრომ: თუ შემირიგდებით და დღევანდელს შემთხვევას დაივიწყებას მისცემთ, შემდეგში ბევრ ნაირად შეგიძლიანთ მცადოთ. მე დაგარწმუნებთ, რომ ჩემს გულში თქვენ დიდი ხანია ადგილი დაიკავეთ! — გაბედვით მიუგო სანდრომ.

— მაშ, მიპატიებია! — სიხარულით წარმოსთქვა სოფომ: — ვეცდები, სრულიად დავივიწყო დილანდელი ამბავი.

### XI

რადგან კიბე ვიწრო იყო და აქეთ-იქიდამ მაღალი კედლები ჰქონდა ამართული, ამიტომ სოფო და სანდრო მეტად ახლო იდგნენ ერთმანერთზედ.

მზე თან-და-თან იწურებოდა და უიმისოდაც ბნელს კიბეს უფრო მეტი სიბნელე იპყრობდა. ეს სიბნელე ახალგაზდა მოარშიყეთ გამბედაობას უმატებდა. თვით სანდრომაც-კი, რომელიც დღემდის მორცხვობისაგან სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, დღეს ერთობ გაიმარჯვა, სოფოსი სრულიადაც აღარ ერიდებოდა; ამ საღამოს ისე შეითელა სიტყვა «მიყვარხარ», ისე გაიადვილა იმისი ხმარება, თითქო სიყრმიდგანვეა შეჩვეული არშიყობასაო.

— გევედრები, სანდრო, ისე გევედრები, როგორც ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს — დაიწყო სოფომ, — რომ ერთხელ და სამუდამოდ დაამშვიდო ჩემი დამწვარ-დადაგული გული. გადაჭრით მითხარი — ვარ სასიცოცხლო ამ ქვეყნად, თუ არა? შემიძლიან ვიქონიო იმედი, რომ მეც ოდესმე ჩემს თავს ადამიანებში ჩავრიცხავ? გამაგებინეთ — რა პასუხს აძლევთ თქვენგან დამონავებულს ჩემს გულს? მიგაჩნივართ რადმე, თუ არა?

სანდრო აღელდა, მცირე ხანს გონს ვერ მოვიდა და შემდეგ ათრთოლებულის ხმით მიუგო პასუხი.

— სოფო, გეფიცები, რაც-კი საფიცარი არის რამე, პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ მე თქვენ საუკუნოდ მეხსომებით; რომ სანამ ცოხალი ვარ, თქვენი სახე ჩემს თვალებს არ განშორდება, თქვენს სახელს ჩემი მეხსიერება არ მიატოვებს და ჩემი გული თქვენს სიყვარულს არ გასწირავს.

— ჩემო სანდრო, ამ წუთს სწორედ ის დრო მაქვს, როდესაც თამამად შემიძლიან ყველაფერი გაგიბედო, ყველაფერში გამოგიტყდე, განგიზიარო ის დარდი და სევდა, რომელიც მე თქვენის გაცნობის შემდეგ დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევს, სიცოცხლეს მირყევს, არსებობას მიმძიმებს. თქვენ მეუბნებით: «საუკუნოდ მეხსომებიო»; ეს თქმა ჩემთვის არა კმარა; მე შემდეგისათვის საკუთარი ჩემი ქვეყნიური ბედნიერება უთქვენოდ ვერ წარმომიდგენია, მე მინდა, რომ თქვენ ჩემი იყოთ და მე თქვენი. თქვენ რას მეტყვით ამაზედ?

— მე ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენი სურვილი ერთი და იგივე ყოფილა, მხოლოდ...

— მხოლოდ ისა, რომ ჯერ თქვენ დრო არა გაქვსთ. მგონია, თქვენ ამის თქმა გწადიანთ?

— სწორედ. ჯერ მე ბევრი მიკლია სწავლის დასრულებამდე.

მელიც რამდენიმე კვირაა, სტუმრად იმყოფება სტამბოლში. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბ-ნი ბაქრაძეა სომხებისათვის დღევანდელის დღის სალაპარაკო, ყველას ყურადღება იმაზეა მიქცეული. ბ-ნი ბაქრაძე განაგრძობს მისვლა-მოსვლას სტამბოლში მყოფ გამოჩენილ სომხებთან, რომელთა მხრითაც დიდს პატივ-ცემას და გულითადს თანაგრძნობასა ჰხედავს. სიტყვა გაგვიგრძელდება, რომ ყველა თითო-თითოდ ჩამოვთვალოთ; მოვიხსენებ რამდენსამე ამბავს. სხვათა შორის ხორენ ნარ-ბეიმ, სამღვდელო ეპისკოპოზმა, *) ნახა ბ-ნი ბაქრაძე, რომელმაც გადაუხადა ვიზიტი. დიდხანს ჰქონდათ საუბარი, რომლის საგანი სამეცნიერო იყო, ესე იგი ქართველთა და სომეხთა ისტორია. ნარ-ბეი ეპისკოპოზი დიდად მოხარულია ბ-ნ ბაქრაძეს ნახვითა.

«ბ-ნმა ბაქრაძემ ნახა კონსტანტინოპოლის სომხის პატრიარქი ბ-ნ ნიკოლოსიანთან ერთად; ამ ნახვამ ერთს საათზე მეტს ხანს გასტანა. უმთავრესი საგანი ლაპარაკისა ყოფილა არა მარტო ისტორიული საგნები,—არამედ დღევანდელი საჭიროებანი ქართველთა და სომეხთა. პატრიარქს განუმარტებია თავის სამოქალაქო მოვალეობითი მნიშვნელობანი, ვრცლად ოსმალეთის აწმყო მდგომარეობა და რა მიმართულება უნდა იქონიონ ოსმალეთში ქრისტიან ერებმა. ეჭვი არ არის, რომ პატრიარქი დაუხატავდა მას, როგორ უნდა გამოიყენოს თავისი სამოქალაქო უფლება ოსმალოს მმართებლობის მიმართულების მიხედვით.

«პატრიარქის მხრით იმის მოადგილეს ივთიჯიან ვართაპეტს სამაგიერო ვიზიტი გადაუხდია. ეს ერთმანერთის ნახვა ძალიან გულითადი ყოფილა და დიდხანს გაუწევია. პატრიარქის მოადგილე კარგი ვართაპეტია, მეტად საყვარელი კაცია, კარგს შთაბეჭდილებას დასტოვებს; თუმცა ჯერ ჭაბუკია, ჭკვიანია და თავის სიტყვა ესმის.

«სამეცნიერო რჩევა სომეხთ ნაციონალურ მმართველობითის განყოფილებისა, რომელსაც ეკუთვნის საერო სამასწავლებლო უმაღლესი ზრუნვა, უყურადღებოდ არ დარჩება ბ-ნს ბაქრაძესა. ამ რჩევამ როდესაც სცნო, რომ ბ-ნს ბაქრაძეს უყვარს სომხის გვარი, რომლის ისტორია და მწერლობა მეცნიერისათვის საინტერესოა და რაც იგი სტამბოლშია, მუდამ თავის თანაგრძნობას უცხადებს სომხებსა, გარდასწყვიტა რჩევამ თავის მხრით წარმომადგენლები გაუგზავნოს პატივცემულს სწავლულსა და გამოუცხადოს გულითადი მადლობა. ამორჩეულ იქმნენ რამდენიმე კაცი და ხვალ ან ზეგ წავლენ ბ-ნ ბაქრაძესთან თავის მოვალეობის აღსასრულებლად.

«ბ-ნი ბაქრაძე დაიარება ჩვენ საქველმოქმედო და სასწავლებელ დაწესებულებათა, ჩვენის ეკლესიების სანახავად და წრფელის გულით უცხადებს თავის აზრებსა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. აი ერთი მაგალითი, რომელიც თქვენ საკმაოდ გაცნობებთ, ბ-მა ბაქრაძემ რა პატივის-ცემა მიიღო ჩვენში. ჩვენა გვაქვს ქალების სახელოსნო სასწავლებელი, რომელსაც განაგებს პატივცემული ქალბატონი მატაკიანი. ამ კვირას დიდი სცეკვაო ბალი უნდა გაიმართოს ამ სასწავლებლის სასარგებლოდ. სტამბოლის გაზეთი «არეველქი» აგულიანებს საზოგადოებას, რომ ხელი შეუწყონ ამ სასარგებლო დაწესებულებას და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სასწავლებელი წარმატებაში იმყოფებაო, მოჰყავდა ბ-ნ ბაქრაძეს სიტყვები. მართლაც-და ბ-ნი ბაქრაძე გაკვირვებულა, რომ ასე მცირეს ხანში როგორ შეიძლო სკოლამ განონიერად დამკვიდრებულიყო და ასეთი ნაყოფი მოეტანა. მომავლისათვის დიდს სარგებლობას მოიტანსო. ბ-ნს ბაქრაძეს ჰქონია: კარგი იქმნებოდა, კავკასიიდამაც მოწაფე ქალები მოსულიყვნენ ამ სახელოსნო სასწავლებელში გასაწვრთნელადაო.

«ნასწავლის სომხის ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც არა შორდებიან ბ-ნს ბაქრაძეს. პოეტები, ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, მასწავლებლები,—ყველანი იმასთან მიდიან. ყველა ერთის აზრისაა, რომ ბევრს ვერთობით შორის ქვეყნების ამბებით; ამერიკამ და ევროპამ რაც უნდა მიიზიდოს ჩვენი ყურადღება, ერთად მცხოვრებელ ხალხებს უფრო მომეტებით ეჭირებათ ერთმანერთის გაცნობა და სიყვარული; სომეხთ და ქართველთა ისტორია ერთმანერთისაგან განუყოფელია. კაცს არ მოეტყუება, რომ ეს არ იცოდეს. თუ არა ვცდები, «მშაკი» არ რამდენისამე წლის წინად ჰქადაგებდა და ამტკიცებდა, რომ სომხებმა თავის მეზობელი ხალხები უნდა გაიცნონო. ერის კეთილის მსურველთა და წრფელის აზრის მქონებელთა საქვეყნო მწერალთა ნაქადაგები ერთის დღის საქმე არ არის და ამიტომ ზოგჯერ დრო მოდის, რომ ასრულდება. აჰა ერთი მაგალითი თვალ-წინა გვაქვს. ვის შეეძლო ამ ათის წლის წინად წინასწარ-მეტყველება, რომ ქართველი სწავლული ამდენს სიყვარულს, პატივის-ცემას და თანაგრძნობას მოიპოვებდა ოსმალეთის სატახტო ქალაქის სომხის საზოგადოების ნასწავლთაგან?—რაღა ბევრი ვილაპარაკო, საქმე თვითონ ჰქადაგებს და ვგონებ, რომ კიდევ შემთხვევა მექნეს ამ საგანზე მოგწეროთ რამე.»

*) ხორენ ნარ-ბეი ეპისკოპოზი ჩამომავლობით უკანასკნელი სომხეთის მეფეთ ლუზინიანების გვარისაა და გამოჩენილია სომხებში, როგორც სწავლული და განათლებული კაცი. ბერლინის ხელ-შეკრულობის დადგენის დროს, როდესაც ევროპის სხვა-და-სხვა სატახტო ქალაქებში სხვა-და-სხვა მმართებლობათა წინაშე ოსმალოს სომხეთის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე იღვწოდნენ სომხის გამოჩენილი ეპისკოპოზები, ხორენ ნარ-ბეი იმყოფებოდა ამ გვარსავე შრომისათვის პეტერბურგში და ჩინებული შთაბეჭდილება იქონია, როგორც იწერებოდნენ გაზეთები, პეტერბურგის არისტოკრატიულ ოჯახებში.

## სასამართლოს მატიანე

(ბ-ნთ კეზელისა და დანილოვის საქმე)

23 მარტი

(შემდეგი *)

ბ-ნმა ნიკოლაძემ უჩვენა: მე შეტყობილი მქონდა, რომ დანილოვსა აქვს კეზელის წერილები. ა. წერეთელმა «Новое Обозрѣніе»-ს რედაქციაში ილაპარაკა იმ წერილებზე, მაგრამ მაინც-და-მაინც ყური არ მიდევნებია, რადგანაც მუშაობაში გართული ვიყავი. კეზელს, როცა ჯერ კიდევ რკინის გზაზედ მსახურობდა, რამდენჯერმე ვუთხარი, რომ იმის მხრივ დიდი შეცდომაა რკინის გზაზე სამსახური, რადგანაც ეგ სამსახური მეტად რთული და ძნელია; კეზელი ცხოვრებაში გამოუცდელი კაცია და ამიტომაც ნება მქონდა მეფიქრა, რომ სამსახური ჩაითრევდა. დანილოვი მოვიდა რედაქციაში, მაგრამ მე კეზელის წერილები არ წავიკითხე, რადგანაც კერძო წერილების წაკითხვა არ ეთანხმება ზნეობის კანონებს. დანილოვს ვუთხარი: სჯობს მაგ საქმეს თავი დაანებოთ და თუ გინდათ, პასუხი გასცეთ «Нов. Обоз.»-ეს წერილებს, დასწერეთ პასუხი, მაგრამ ისეთს არაფერს არ შეეხოთ, რასაც მწერლობასთან და თვით საქმესთან კავშირი არა აქვს.

კეზელს, როცა სამსახური მიატოვა, რედაქციამ მიანდო პასუხი დაეწერა ერთს დანილოვის წერილზე, რომელიც წინად იყო დაბეჭდილი. რედაქციას რომ რაიმე ეჭვი ელო კეზელის ზნეობრივს სიწმინდეზე, მაშინ კეზელს იმ ნაირადვე განდევნიდა, როგორც დანილოვის შეურაცხყოფის შემდეგ განდევნა. კეზელი და აკაკი წერეთელი ვერ იყვნენ კარგს განწყობილებაში და მე ბევრი ვეცადე, რომ ეს ორი ნიჭიერი მწერალი მომეთავსებინა ჩვენს რედაქციაში. რამდენადაც მე გაცნობილი მაქვს მამულების შესყიდვის საქმე ლანჩხუთში, უნდა ვსთქვა, რომ კეზელს არც არა სამარცხვინო ჩაუდენია-რა და ვერც ჩაიდენდა, რადგანაც კეზელს უნდა აესრულებინა უფროსების ნება და სურვილი და უნდა გაეთავებინა წინანდელი საქმეები, რომელთა წარმოებაში არავითარი მონაწილეობა არა ჰქონია. მწერალს თავის შეხედულობა აქვს იმაზე, თუ რომელი გარემოებაა შესაწყნარებელი და პატიოსანი. ამ შემთხვევაში მწერლისა და კანონის აზრი სხვა და-სხვა არის. მწერალი მისდევს არა ფორმალურს სიმართლეს და ჭეშმარიტებას, არამედ ზნეობრივს მხარეს რომელიმე საქმისას. მე იმას არ დავეძებ, აწარმოებდა თუ არა დანილოვი იმ საქმეებს, რომელთა ურიგოდ და უკანონოდ წარმოებას აბრალებდა კეზელი დანილოვსა. საქმე ის არის, რომ დანილოვმა იცოდა ყოველივე გარემოება. აღიარებული და უეჭველია, რომ უფროსი აგებს პასუხს თავის ხელქვეითის მოქმედებაში, და უფროსი თუ არა სდევნის იმათს ბოროტ-მოქმედებას, უსათუოდ პასუხის მგებელია. მართალია, მე ვიცი, რომ დანილოვს თავისით არ უწარმოებია ყველა საქმეები. დანილოვს ხშირად უცნობებია თავის უფროსებისათვის,

*) იხ. „ივერია“ № 63.

---

— მაგისი დარდი ნუ გექმნებათ; მე სრულიადაც ხელს არ შეგიშლით; საქმე ჰოობაა, თორემ დრომდე მოთმინებას ადვილად შევიძლებ. მხოლოდ უიმედობა უსპობს ბოლოს ადამიანის სიცოცხლეს, თორემ ხომ გაგიგონიათ: «იმედიანი შიმშილიც კარგიაო».

— ქალო, თქვენ გავიწყდებათ, რომ მარტო რუსეთში უსათუოდ ოთხი წელიწადი მომიწდება დარჩომა და შესაძლოა მეტიც მომიხდეს.

— თუ-კი ბოლოს მაინც-და-მაინც ჩემს საწადელს მივაღწევ, არამც თუ ოთხს, არამედ ათს წელიწადსაც არაფრად მივიჩნევ. რაც უნდა იყოს, დაგვიანება არავის საბუთს არ მისცემს, რომ კარზედ მოსული ბედნიერება უარ-ჰყოს.

— მეც მეტს არაფერს ვითხოვ; თუ თქვენ შეგიძლიანთ ოთხი-ხუთი წელიწადი მიცადოთ, მეც შევიძლებ მიცემული სიტყვა აღვასრულო და ჩემი თავი თქვენ დაგილოცოთ. მხოლოდ ვჭვობ-კი, რომ ამ დროის განმავლობაში თქვენმა გრძნობათა ტალღვამ სხვა მიმართულება არ მიიღოს. ვინ იცის, რა არ შეიძლება მოხდეს: ახალნი ნაცნობნი ახალს შთაბეჭდილებას იქონიებენ თქვენზედ...

— თქვენ დამასწარით, ეგ მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა. მაგრამ, სანდრო, თუ თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, ამას ნუ-ღა გამიმეორებთ და ნურც ეხლა მომთხოვთ ფიცსა: ჩემს [illegible] და იმ სიმტკიცეს, რომელიც წინ უძღვის თქვენდამი ჩემს სიყვარულს, ვერც ერთი ფიცი ვერ გამოხატავს. ფიცი მხოლოდ ჩირქს წასცხებს იმ უმანკოებას, რომლითაც აღჭურვილია ჩემი თქვენდამი გრძნობა.

— არ დავიჟინებ; მჯერა, რომ თქვენ მართალს ამბობთ. მეც ჩემის მხრივ ყოველს ღონის-ძიებას ვიხმარ, რომ ეს ოთხი-ხუთი წელიწადი, რომელიც წინ ელობება ჩვენს შეერთებას, შეუმჩნევლად გავატარო. ამ დროის განმავლობაში, სიტყვას გაძლევთ, ვერც ერთი გარემოება, ვერც ერთი შემთხვევა ვერ მოახდენს ჩემში ისეთ სულებრივს ცვლილებას, რომ მე თქვენი სიყვარული გულიდამ ამოვიშალო. მერწმუნეთ, რომ თქვენა ხართ ჩემის გულის პირველი საგანი და უკანასკნელიც თქვენ იქმნებით.

— მაშ თქვენ ნამდვილს ამბობთ?

— ვამბობ იმას, რაც გულში მაქვს.

— ღმერთო! რა ბედნიერი ვარ ამ წუთას! თითქო დიდის ხნის ტყვეს ხელ-ფეხს ბორკილი ამყარეს-მეთქი; თითქო დაბადებით უსინათლოს თვალები ეხლა ამეხილა და ქვეყნის მშვენიერება მხოლოდ ეხლა ვიხილე-მეთქი; თითქო დღემდის სულ უსიამოვნო სიზმრებში ვიყავი და ამ წუთს გამოვეფხიზლდი, ძილს გამოვეგენ-მეთქი!...

რამდენიმე წამი ორნივე გაბრუებულნი იდგნენ ბნელს კიბეში, რომელშიაც ძლივს-ღა არჩევდნენ ერთმანერთს. ორნივე ერთმა ფიქრმა გაიტაცა; ორივეს ერთის სისწრაფით აუძგერდათ გული; ორივემ ერთ გვარად მოილხინეს.

— მგონია, ეხლა-კი კმარა ერთად დგომა და ლაპარაკი: იქმნება ჩვენებმა გამოიღვიძეს კიდეცა. შეიძლება აქ თვალი შეგვასწრონ,—წარმოსთქვა სანდრომ.

— მართალს ამბობთ, დრო არის განვშორდეთ ერთმანერთს; თუმცა ცოტად გვეჩვენა, მაგრამ კარგა ხანმა-კი გაიარა.

— მაშ მშვიდობით ნახვამდის, სთქვა და გაუწოდა ხელი სანდრომ.

— მშვიდობით, მიუგო სოფომ და ამანაც ხელი გაუწოდა.

მისცეს ხელი-ხელს, მაგრამ ეს ეხლანდელი ხელის მიცემა ძლიერ განსხვავდებოდა კლავინდელის ხელის ჩამორთმევისაგან; ისე საფუძვლიანად, ისე მკვიდრად მოჰკიდა სოფომ სანდროს ხელს ხელი, თითქო სამუდამოდ გადაბმულნი უნდა დარჩნენო. სანდრომ გასანთავისუფლებლად რამდენჯერმე გაიწია კიდეც, მაგრამ სოფო არ ეხსნებოდა, თავისკენ ეწეოდა და ამით ანიშნებდა სანდროს: რაცა ვსთქვით ამ საღამოს, ყველა ამას კოცნით დაგვირგვინება ეჭირებაო. სანდრო, რასაკვირველია, მიუხვდა სოფოს განზრახვას; არც თვითონ იყო გულში ამის წინაამდეგი, მაგრამ იმისმა განუშორებელმა, მორცხვობამ ამ ჟამადაც იჩინა თავი: თითქმის ძალით გამოსტაცა საკუთარი ხელი სოფოს და განზედ გაიწია.

სოფომ მხოლოდ ერთი-ღა ღრმად ამოიოხრა.

— მართლა, კინაღამ დამავიწყდა — ბანზედ ააგდო სიტყვა სანდრომ,—ეს ცხვირსახოცის ამბავი თქვენი უნარი ხომ არ არის?

— რა ცხვირსახოცის ამბავი? ვითომ გაოცებით იკითხა სოფომ.

— ისა, რომ დავწექ დასაძინებლად, სადა ცხვირსახოცი დავიფარე, ჩვეულებისამებრ, სახეზედ; გამოვიღვიძე, დავხედე ამ ცხვირსახოცს და გავკვირდი: ზედ ვიღასაც ჩემის სახელისა და გვარის პირველი ასოები მშვენივრად ამოუკერნია.

— სწორედ რომ საოცარია — ღიმილით მიუგო სოფომ,—აქ რაღაც გრძნეული ძალა უნდა მოქმედებდეს.

— ეს გრძნეული ძალა, რასაკვირველია, თქვენა ხართ. არა?

— საიდამ, ბატონო? მე მოვედი აქ თუ არა, მაშინვე ამდგარი გნახეთ,—იცრუა სოფომ.

— არა, სწორედა სთქვით, ხომ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იყავით; ახლა ის მინდა გავიგო, როგორ, რა გზით მოახერხეთ ესე სწრაფად ცხვირსახოცის გატანა, ასოების ამოკერვა და ისევ შემოტანა, და მერე ისე-კი, რომ ვერაფერი გავიგერა?

— ეგ ამოცანა თქვენთვის მომინდვია—უპასუხა სოფომ,—მე ასე მოვიმოქმედე და თქვენ კიდევ გაიგეთ, როგორ მოვახერხე.

— ძნელს ამოცანას მაკისრებთ, მე ეხლავე გეტყვით, რომ ამის ახსნას ვერ მოვახერხებ, თუ თქვენ თვითონ არ მეტყვით.

— მე არ გეტყვით,—კიდევ ღიმილით მიუგო სოფომ.

— მაშ არც მე გეტყვით.

— რასა?

— იმას, თუ როდის ვაპირებ სოფელში, სამშობლოში, წასვლას.

— მართლა, მე სრულიად გადამავიწყდა, რომ თქვენ ეგზამენები მალე გითავდებათ. ესეც ახალი სადარდებელი მიჩნდება. როგორ უნდა გაეძლო ორ თთვე ნახევარი თქვენს უნახავად?

— მეც ძლიერ მიძნელდება ასეთი ხანგრძლივი განშორება.

— განა არ შეიძლება, ეს განშორება თავიდამ ავიცილოთ?

— ყოვლად შეუძლებელია. ზაფხულობით მე არც ერთხელ ტფილისში არ დავრჩომილვარ და არც ეხლა მოხერხდება ჩემი დარჩომა. მე, თქვენ კარგად იცით, აქ უცხო სახლში ვიმყოფები, ფასითა ვცხოვრობ. ზაფხულშიაც, თუ დავრჩები, ფასის გაღება დამჭირდება; ამას მამაჩემი არ იკისრებს და თუნდა იკისროს, საბუთს მომთხოვს აქ დარჩომის, რომელსაც მე ვერ წარვუდგენ.

— ძნელი-კია-და.

— ძნელია, მაგრამ უამისობა შეუძლებელია.

— მაშ როდის უნდა გამოვეთხოვოთ ერთმანერთს?

— თქვენ, უეჭველია, მომავალს კვირას მობრძანდებით; მაშინ შემიძლიან ამის გარდაწყვეტით თქმა.

— მაშ მშვიდობით კვირამდის.

—მშვიდობით.

გამოეთხოვნენ ორნივე ერთმანერთს სოფომ ჩაიარა რამდენიმე საფეხური და გაეშურა დის სადგურისაკენ. სანდროც ავიდა მაღლა, აიღო ხელში წიგნი და დაიწყო კითხვა, თითქო არაფერიც არა ყოფილა-რაო. დაროს გამოეღვიძნა; უკანასკნელმა რა დაინახა სანდრო წიგნით ხელში, რასაკვირველია, აზრი არა აილო-რა.

ალ. მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება)

რომ ესა-და-ეს საქმე უკანონოა და იმისი წარმოება ჩვენ ხელს არ მოგვცემსო, მაგრამ უფროსები უბრძანებდნენ—საქმე აწარმოეო. ამ გვარად დანილოვიც იმათ ნებას ასრულებდა საკუთარის სურვილისა და ნების წინააღმდეგ.

ბ-ნმა პოლტარაცკიმ სთხოვა მოწამეს: სხვა საქმეებს ნუ ეხებით და გვიამბეთ, რა იცით ლანჩხუთის საქმის გამოო. ნიკოლაძემ უპასუხა, რომ ყოველივე დაწვრილებით ვიცი, მაგრამ არა მსურს გიამბოთ და შეგაწუხებინოთო. ის შემიძლიან ვსთქვა, რომ კეზელი, როცა მამულებს ჰმიჯნავდნენ ლანჩხუთში, ვალდებული იყო დასწრებოდა ამ დროს და ეჩვენებინა, თუ რომელი მიწა ეკუთვნის რკინის გზასა. ამის მეტი საქმე კეზელს იქ არა ჰქონია.

ბ-ნი ხაჩატურიანი სთხოვს ნიკოლაძეს: გვიამბეთ ყოველივე დაწვრილებით ლანჩხუთის საქმის გამო. როცა ნიკოლაძემ გადაჭრით გამოაცხადა, რომ მაგ საკითხავზე არ მინდა პასუხი მოგცეთო, ბ-ნმა ხაჩატურიანმა სთხოვა მოსამართლეს: მოაგონეთ ნიკოლაძეს, რომ მოწამეს კანონის ძალით ნება აქვს არა უჩვენოს-რა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენებას შეუძლიან სამართალში მისცეს მოწამე.

ნიკოლაძე. სასაცილოა ვექილის თხოვნა. ვექილს ჰგონია, რომ იმისთვის უარ-ვყოფ ჩვენებას, ვითომ მე სამართლისა მეშინოდეს. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არავითარი დანაშაულობა არ ჩამიდენია და არც საფიქრებელი რამ მაქვს; მხოლოდ იმას ვერ ვიტყვი, რაც ჩემთვის გაუნდვიათ.

ნიკოლაძემ უამბო, თუ რას ჰნიშნავს ის ადგილი კეზელის წერილისა, სადაც ნათქვამია, რომ «7½ დესიატინა მიწა დავსტყუეო მემამულეებსა». მემამულეები ვერ გასწვდებოდნენ რკინის გზა‛თან დავას და ამიტომაც კეზელმა, იმ პირობის ძალით, რომელიც ლანჩხუთელებს მიეცათ დანილოვისათვის, დაარწმუნა ლანჩხუთელები, რომ დავა ხელს არ მოგცემთ და დაუთმეთ რკინის გზასაო. შემდეგ ნიკოლაძემ უამბო ყოველივე, რაიცა ეხებოდა დ. ბაქრაძის საქმეს. ამ საქმეში მეტად სათაკილოა საქციელი დანილოვისა და გიორგი წერეთლისა, რომლებმაც ერთს მოწამეს გარდაათქმევინეს წინანდელი ჩვენება. მდივანის საქმის გამო არ მინდა ვილაპარაკოვო, სთქვა ნიკოლაძემ:

ხაჩატურიანის თხოვნით ნიკოლაძეს ჰკითხეს: მართალია თუ არა, ვითომ ნიკოლაძე გულ-მწყრალად იყო დანილოვზე, რომელმაც ვითომ-და ხელი შეუშალა ნიკოლაძეს, როცა ეს უკანასკნელი აპირებდა რკინის გზაზე სამსახურში შესვლას 1887 წელს. ნიკოლაძემ დაბეჯითებით სთქვა, რომ ეგ ტყუილიაო. მას აქეთ, რაც მე სამსახური დავტოვე, ალარავითარი განზრახვა შესვლისა არა მქონია და ამაზე ლაპარაკიც მეტიაო.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

ბოლგარია. «Neue Freie Presse» ამბობს, რომ ბოლგარიის მმართველებმა გადასწყვიტეს პასუხი არ მისცენ ოსმალეთს იმ ნოტის გამო, რომელიც ამტკიცებდა, რომ მთავრად ყოფნა ფერდინანდისა ბოლგარიაში უკანონო საქმეაო. სოფიაში იმ აზრისანი არიან, რომ ოსმალეთს ჯერ-ჯერობით საზღვარი არა აქვს აყინებით მოითხოვოს ნოტის პასუხიო.

— ვენაში ლაპარაკობენ, რომ ბოლგარიის საქმის გამო არავითარი ახალი წინადადება არა წარმოუდგენია-რა რუსეთსაო.

— ბოლგარიის მმართველთ გაუგზავნიათ ოსმალეთისათვის ამ დღეებში მესამედი იმ ხარჯისა, რომელსაც ყოველ-წლივ იღებს აღმოსავლეთ-რუმელიისაგან.

გერმანია. იმპერატორს ფრიდრიხს უბრძანებია, რომ ამას შემდეგ მთელი სამინისტრო იყოს ხოლმე პასუხის—მგებელი და არა თითოეული მინისტრი თავის სამინისტროს შესახებს საქმეებში, როგორც აქამდე იყოვო. გაზეთები ამ გარემოებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ. დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს ამ გარემოებას, იმიტომ-რომ საკონსტიტუციო ქვეყანაში პირველი ის არის, რომ მთელი სამინისტრო იყოს პასუხისმგებელი ყველა იმ საქმების გამო, რომლის გამგეობაც მას აბარია. დღემდე გერმანიაში საქმე ამ მხრივ ისე იყო მოწყობილი, რომ ბისმარკი იყო მხოლოდ თავი-და-თავი და დანარჩენი მინისტრები მხოლოდ იმისი თანაშემწენი იყვნენ, რომელნიც ასრულებდნენ იმას, რასაც კანცლერი ბრძანებდა, და რომელთაც მისივე ნებითა და სურვილით ერთმეოდათ მინისტრობა და ეძლეოდათ სხვას. ეხლა ასეთს წეს-წყობილებას ბოლო მოეღება. ყოველს საქმეს განიხილავს მთელი სამინისტრო საერთოდ. თუ საყურადღებო საგანი იქმნება, თვით იმპერატორი მიიღებს თავ-მჯდომარეობას. ამ სახით ერთის კაცის ნებაზე დამყარებული მართვა ქვეყნისა ახლა სულ სხვაფრივ შეიცვლება და საზოგადო დაწესებულებას გადაეცემა.

— იმპერატორმა ფრიდრიხმა ასეთი საამიმრის დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც ამ ხანებში მოხუცებული მამა მოუკვდა: „ჩემზე მეტად ვერავინ იგრძნობს იმ მწუხარებას, რომელშიაც თქვენ იქნებით ახლა ჩავარდნილიო“.

— 17 მარტს პირველად გამოვიდა იმპერატორი ეტლით და გაისეირნა შარლოტენბურგის ბაღში. იმპერატორთან ბრძანდებოდა მისი მეუღლე იმპერატრიცა. ხალხმა და საზოგადოებამ აღტაცებული პატივისცემა გამოუცხადა.

სპარსეთი. რუსეთის გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ სერ დრუმონდ ვოლფის დანიშვნას ელჩად თეირანში. წინად ინგლისის ელჩად თეირანში იყო ტომსონი, მაგრამ ახლა ეტყობა, ინგლისს არ მოსწონს, რომ ტომსონმა ვერ გამოიჩინა საკმაოდ თავი და ვერ გააძლიერა ინგლისის გავლენა სპარსეთში. ამიტომ მიჭმართა ამ საქმისათვის ასეთს სახელ-განთქმულსა და ძლიერს კაცს, როგორიც არის სერ დრუმონდ ვოლფიო.

## წვრილი ამბები

— კიდევ ერთი ამბავი გარდაცვალებულ იმპერატორის ვილჰელმის ცხოვრებიდგან. ახალგაზდობაში პრინცს ვილჰელმს შეუყვარდა თავადის რადზევილის ქალი, ერთი უვლაზედ მშვენიერ ქალთაგანი მეფის სასახლეში, და განიზრახა შეერთო კიდეცა. ხოლო პრინცის სურვილს წინ გადაეღობა ის გარემოება, რომ თავადის ქალი იყო მის მიერ შეყვარებული და არა მეფეთა შთამომავლობისა. თუმცა ადრე მაგალითი ყოფილიყო, რომ ჰოჰენცოლერნის გვარეულობიდგან ერთს შეერთო თ. რადზევილის ქალი, ხოლო ფრიდრიხ II დროიდგან-კი სასტიკად იყო აკრძალული ასეთი საქციელი. რამდენიმე იურისტი შეუდგა იმის საფიქრებელსა და საგონებელსა, თუ როგორ მოეხერხებინათ პრინც ვილჰელმისა და თ. რადზევილის ქალის ერთად შეერთება; სხვათა შორის იმ აზრსაც დაადგნენ, რომ თავადის ასული პრინცმა ავგუსტმა იქვილოსო, ხოლო ამაზედ მინისტრებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს, რადგან ქალად აყვანა ნამდვილ შვილობასთან შორი-შორს არისო. 1826 წ. მეფემ, ვილჰელმის მამამ, წერილი მოსწერა შვილსა და ურჩია: რადგან მაგ საქმეს ღონე არსაიდამ გამოუჩნდა, მეტი ილაჯი არ არის, სიყვარული მსხვერპლად უნდა შესწირო ქვეყნისა და სამეფო გვარეულობის სამსახურსაო. ამაზედ პრინცმა ვილჰელმმა უპასუხა მამას, რომ შენს რჩევას და დარიგებას ვემორჩილებიო. ამის შემდეგ ვილჰელმმა ჯვარი დაიწერა კიდეც საქსონიის პრინცესაზე.

— ბრიუსელის პროკურორს ახირებული ამბავი მისვლია. ერთი მანდილოსანი, რომელიც იქსელში სცხოვრობს, აგერ უკვე რვა წელიწადია ინახავს თავის გარდაცვალებულ რვა წლის ყმაწვილის გვამს, რადგან დასამარხავად ენანება. ყმაწვილის გვამი ამ მანდილოსანს ყუთში აქვს დამოგზაურობის დროს თან ატარებსო.

— არაჩვეულებრივი მოვლენა ბუნებისა. კაპიტანს ინგლისის გემის «Sibirian»-ისას თავის უკანასკნელ მოგზაურობის დროს ნიუ-ფოუნდლენდის ნახევარ-კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირებისაგან შემდეგი საკვირველი მოვლენა უნახავს. 12 ნოემბერს შუაღამეს ზღვა აღელვებული იყო და ცა მოქუფრულიი ღრუბლებითა. უეცრად გემის შორი-ახლო ტალღებიდგან ამოვიდა უშველებელი ცეცხლის ბურთი; ეს ბურთი რამდენსამე ხანს ტალღებს ზემოდგან მოძრაობდა, შემდეგ უეცრადვე გაჰქრა, თითქო ზღვაში ჩაიღუპაო. კაპიტანს ეს თვალით ნანახი საკვირველება შეუტყობინებია ვაშინგტონის საგეოგრაფიო ინსტიტუტისათვის და იქ ასეთი პასუხი მიუციათ: ეგ მოვლენა ძალიან იშვიათად გამოიჩენს ხოლმე თავსა და ამასთან ყველაზედ ნაკლებად ახსნილიც არის ჯერ-ჯერობით მეცნიერებისაგან. ეგ ცეცხლის ბურთი წყნარად ადის ჰაერში და მოძრაობს უგზო-უკვლოდ. ხან-და-ხან გასკდება ხოლმე და საშინელი ხმა აქვს, ხოლო უმეტესად-კი ისევე შეუმჩნევლად და უცბად ჰქრება, როგორც ჩნდება. ბევრჯელ შეუნიშნავთ, რომ როცა ცეცხლის ბურთი მიწას მიჰკარებია, დიდად ამოუთხრია, ამოუგლეჯია მიწა, ან ერთს ადგილას ჩამალულა მიწაში, ჩაუთხრია და სულ ორიოდე ნაბიჯზედ ისევე გამოჩენილა. თუმცა თქმა არ უნდა, რომ მაგ ცეცხლის ბურთის გამოჩენას ბუნებაში რაიმე მიზეზი ექნება, ხოლო მეცნიერებს-კი ჯერ-ჯერობით ვერაფრით აუხსნიათ ეგოდენ საოცარი მოვლენაო.

## გასართობი

ვაშინგტონში ერთს სამოც-დაათის წლის მანდილოსანს, რომელსაც საშინლად ჰყვარებია ბანქოს თამაშობა, ამას წინად გაზეთებში გამოუცხადებია: მსურს ქმრად შევირთო ისეთი კაცი, რომ ბანქოს თამაშობა კარგად იცოდესო. ამ განცხადებაზედ ერთი კაცი მისულა ხსენებულ მანდილოსანთან, სანეფე-პატარძლოს მაშინვე ქაღალდი გადმოუღიათ, ბანქო უთამაშნიათ და ქალს მოსწონებია: კარგად თამაშობო. პირობა დაუწერიათ, რომ კაცმა სარგებელი უნდა აიღოს 150,000 მანათისა, რომელიც მანდილოსანს ეკუთვნის, და ამის სამაგიეროდ ვალად იდებს, ყოველ საღამოს ბანქო ეთამაშოს თავის მეუღლესა. ხოლო როცა ეს დედაკაცი გარდაიცვლება, მაშინ-კი მთელის იმის საცხოვრებლის მემკვიდრე და პატრონი ეს კაცია. რაღა თქმა უნდა, რომ ვიდრე ამ ქონებას მიიღებდეს, ბანქოს თამაშობაში გამოეცლება ამ კაცს ტვინიცა, ჭკუაცა და გონებაცა!

**

ჩვენი ხინჩლა ტომსკშიაც გამოჩენილა, ის ხინჩლა, რომელიც თ. რაფაელ ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრებაშია“ გამოყვანილი. არა გჯერათ? აი საბუთი. ტომსკის ერთს დიდს მაღაზიაში შესულა 3 გლეხი, ტობოლსკის გუბერნიელნი. ერთს ამ გლეხთაგანს თავისი თავი და ამხანაგები უცებ დაუნახავს სარკეში და გაკვირვებით წამოუძახნია.

— შეხე, შეხე, ეს ხომ ჩვენებური გლეხები არიანო.

მეორე გლეხს, უფრო გაგებულს, ამაზედ ამხანაგისათვის უპასუხნია:

— რაო, სულელო, შენივე მახინჯი პირი-სახე ვერ იცან სარკეში!

პირველს გლეხს შერცხვენია და ჩაუბუტბუტნია:

— მე-კი ფანჯარა მეგონაო.

**

საფრანგეთის გაზეთებში ეს ამბავია დაბეჭდილი, რომელიც უფრო ხუმრობასა ჰგავსა ვიდრე მართალსა: „საფრანგეთის მთავრობ, დიდის გულ-დადებითა სცდილობს თავისი კალონიები დაასახლოს და ამიტომ ამას წინად გამოაცხადა, რომ ნუმეის ახლო კუნძულზე, რომელიც ფრანგებით არის დასახლებული, საჭირო არის ასი ახალგაზდა საპატარძლო ქალი და ვინც მოისურვებს გარდასახლებას, მთავრობა, გარდასახლების ხარჯის გარდა, თითოეულს ხუთ-ხუთს თუმანს საჩუქარს დაურიგებსო. სულ ცოტა ხანში გაჩნდა ასამდე ქალი, რომელთ შორის ზოგი თერძია, ზოგი—მასწავლებელი, ზოგი—მკერვალი, და გარდასახლდნენ ნუმეის ახლო კუნძულზედაო“.

# დეპეშა

23 მარტი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს დაუდგენია და გამოუცხადებია, რომ გაუქმებულ იქმნას ეგრედ წოდებული მოსკოვის «Сохранная Казна».

გამოცხადებულია წესდება ცეცხლისაგან დამზღვეველის საზოგადოებისა, სახელად „მოსკოვი“. ძირის ფულად საზოგადოებასა აქვს ერთი მილიონი. მმართველობა მოსკოვში იქმნებაო.

ბუქარესტი. მინისტრ-პრეზიდენტმა როზეტიმ დეპუტატთა პალატაში წაიკითხა სამინისტრო დეკლარაცია, რომელიც შეეხება ბიუჯეტის საქმეს. სხდომაზე დიდი ხმაურობა იყო.

პარიჟი. ახალმა სამინისტრომ პალატაში წაკითხულს დეკლარაციაში წარმოსთქვა, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა უნდა გადაიდვას უფრო შესაფერის დროისათვის. სამინისტრო ჰპირდება საფრანგეთს სხვა-და-სხვა კანონ-პროექტებს, რომელნიც უნდა ეთანხმებოდნენ დემოკრატიულს ინტერესებსა. აგრეთვე ჰპირდება კანონებს საეკლესიო საქმეებისა, ასოციაციებისა და სასამართლოების შესახებ. უმთავრესად-კი მხედველობაში გვექნება ბიუჯეტის საქმეო.

პარიჟი. სამხედრო მინისტრს ფრეისინეს უმაღლესის შტაბის უფროსად დაუნიშნავს გენერალი ვარნე; დეპუტატთა პალატის თავ მჯდომარედ აურჩევიათ მელინი. მელინმა იმდენივე კენჭი მიიღო, რამდენიც კლემანსომ; უპირატესობა მელინს იმიტომ მიეცა, რომ წლოვანებით კლემანსოზე უფროსია.

24 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა სამხედრო უწყების მიმართ გამოცემულს ბრძანებაში, რომ წელს სავარჯიშოდ უნდა შეიკრიბნენ თავ-თავიანთ ჯარებში ის სახლში დათხოვნილი ჯარის-კაცნი ფეხოსანთა და საარტილერიო ჯარისა, რომელნიც მსახურებდნენ 1883 წლის ვადის დროს და სამს წელზე ნაკლები იმსახურეს ჯარში, და აგრეთვე ისინიცა, რომელნიც 1878 წლის ვადის დროს მსახურებდნენ და სამ წელზე მეტი იმსახურეს ჯარებში. თავ-მოყრა ამ ჯარის-კაცთა დაიწყება, ადგილმდებარეობის მიხედვით, 10 და 15 აგვისტოს და 15 და 20 სექტემბერს. თავ-მოყრამ, როგორც გარდაწყვეტილია, უნდა გასტანოს ხოლმე ოცოც-და-ერთი დღე.

უფროს მღვდლად ჯარისა და ფლოტისად დანიშნულია სრულიად არტილერიის სერგიევის ტაძრის მღვდელი, დეკანოზი ჟელაბოვსკი.

პეტერბურგის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მოქალაქე ლავრენტიევისა, რომელიც სცდილობდა გიჟების სახლში მიეცა თავისი დედა, რათა ამ სახით თვითონ დაესაკუთრებინა იმისი ქონება. განიხილა ამასთანავე საქმე ნაფიც ვექილის თანაშემწესი ივანოვსკისა, რომელიც ლავრენტიევის სასარგებლოდ შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, და საქმე ექიმის კრასილნიკოვისა, რომელმაც ტყუილი მოწმობა მისცა ლავრენტიევს იმის დედის სიგიჟისა. სასამართლომ განუჩინა ივანოვსკისა და კრასილნიკოვს ტომსკის გუბერნიაში გადასახლება საცხოვრებლად, ხოლო ლავრენტიევს—არესტანტების როტები 4 წლის ვადით.

პარიჟი. ახალმა თავ-მჯდომარემ დეპუტატთა პალატისამ მელინმა, მიიღო რა ახალი თანამდებობა, წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, რომ საჭიროა კამათობის დროს მეტი დარბაისლობა და სიწყნარე გამოვიჩინოთ ხოლმეო, რათა ამ სახით აღვადგინოთ ერის წინაშე პარლამენტარიუმი და დავამტკიცოთ, რომ საფრანგეთში ეგ პარლამენტარიუმი უკეთესი თავმდებია მშვიდობიანობისა შინა და გარედაო.

კრებანი პალატისა და სენატისანი გადადებულ იქმნა 19 აპრილამდე.

პეტერბურგის ბირჟა 22 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 45 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 187¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 270 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 247½ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

Доз. цен. Тиф., 24 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე